



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

10 აგვისტო 2011 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 107**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 დეკემბრის „სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ №134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შევიდეს ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 დეკემბრის „სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ №134 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განსახორციელებლად შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

**აპარატის ხელმძღვანელი:**

ალეკო მამეშვილი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

**აპარატის წევრები:**

მაკა მეგრელაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და კომპიუტერული მომსახურების განყოფილების უფროსი;

თამარ ლომთათიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

დავით გორდელაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:**

**ალეკო მამეშვილი**